141
1947

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წელიწადი მეათე

№ 8-9 | Сборник приказов и Распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1947 წ.

## შინაარსი

1. ბრძანება № 2563, 1947/48 სასწავლო წელს საქართველოს სსრ სკოლების ძირითადი ამოცანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . 2 გვ.
2. ინსტრუქცია, კურსდამთავრებულთა მოწმობებისა, სიმწიფის ატესტატებისა და გადასაყვანი მოწმობების დამზადების, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6 „
3. ბრძანება № 2795, საქ. სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა რაიონებში . . . . . . 13 „
4. დებულება, სასკოლო ინსპექტორის უფლებისა და მოვალეობის შესახებ . 20 „
5. დადგენილება, უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24 „
6. ბრძანება № 2587, რუსული ენის შესასწავლი კურსების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 28 „
7. ბრძანება № 1994, 1947-1978 სასწავლო წელს საქართველოს სსრ სკოლების ძირითადი ამოცანების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 32 „
8. სასწავლო გეგმები 1947-1948 სასწავლო წლისათვის . . . . . . . . . 38 „
9. Приказ № 2587, о работе курсов по изучению русского языка . 46 „

[library stamp]

თბილისი 1947 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2563

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წლის 26 სექტემბერი

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 11 აგვისტოს ბრძანების — 1947/48 სასწავლო წლის საქართველოს სსრ სკოლების ძირითადი ამოცანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ — ბორჯომის, გორის, გურჯაანის, კასპის, საგარეჯოს, სიღნაღის, ტყიბულისა და ქუთაისის რაიონების ზოგ სკოლაში.**

აღვნიშნავ, რომ ბორჯომის, გურჯაანის, კასპის, ტყიბულისა და ლაგოდეხის რაიონების მთელ რიგ სკოლებში ახალი სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყეს; ზუსტად აღრიცხეს სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი, უზრუნველჰყვეს მათი სათანადო კლასებში ჩარიცხვა, სწორად შეადგინეს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმები და გაკვეთილების ცხრილები, დროულად გაუნაწილეს მოსწავლეებს მიღებული სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები.

მაგრამ ზოგიერთი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს:

ა) გურჯაანის რაიონის კარდანახის, ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის საშუალო და საგარეჯოს რაიონის საგარეჯოსა და ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლების ადმინისტრაცია და მასწავლებელთა კოლექტივები არც კი იცნობენ განათლების სამინისტროს 1947 წლის 11 აგვისტოს ბრძანებას;

ბ) მიუხედავად იმისა, რომ სკოლებს მტკიცედ ჰქონდათ დავალებული სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სკოლაში უკლებლივ ჩაბმა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების დარგში არსებული დამახინჯებების აღკვეთა (განათლების სამინისტროს 11 აგვისტოს ბრძა-

ეროვნული

ნება, მუხლი პირველი), ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლო-ვანებებს აქვს ადგილი. მაგალითად, გორის რაიონს ამ სასწავლო წლიდან სკოლებში უნდა ჩაერიცხა წინაწლებში სკოლას ჩამოცილებული 260 მოსწავლე, ფაქტიურად კი 180 ბავშვი ჩარიცხა, სიღნაღის ქალთა და ვაჟთა სკოლების სასკოლო უბნიდან სწავლების გარეთ 41 ბავშვია დარჩენილი, ხოლო ამავე რაიონის ქვემო ბოდბის სკოლიდან--43 მოსწავლე, ტყიბულის რაიონის საწირის საშუალო სკოლიდან კი 9 მოსწავლეა განთესილი;

გ) შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარებს. ლაგოდეხის რაიონის სოფ. აფენის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა კლასს მცდარად და არაზუსტად გადასცა სასწავლო მასალა; მან ასეთი განმარტება მისცა მოსწავლეებს: „მოძრაობის რაოდენობის გამოსასახავად მივმართოთ კოორდინატთა სისტემას: კოორდინატთა სისტემა გამოისახება ორი ხაზით $x$-ს და $y$-ს შორის არსებული ფუნქციონალური დამოკიდებულებით“. გურჯაანის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ასევე არასწორად ასწავლის სამკუთხედების მსგავსებას;

დ) მიუხედავად იმისა, რომ გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონებში მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 11 აგვისტოს ბრძანების შესაბამისად დაუსახავთ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები, სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯები ბრძანებაში დასახული ამოცანების შესრულებისათვის. გურჯაანის რაიონის შაშიანის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტის ხელსაწყო იარაღები ღია კარადაში ყრია და მოუვლელობის გამო ბევრი მათგანის გამოყენება შეუძლებელია. სასწავლო კაბინეტებს ასეთივე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან კარდანახის საშუალო სკოლაში; აქ 9 სექტემბრისათვის გაკვეთილების ცხრილიც არ ჰქონდათ შედგენილი;

ე) ზოგიერთი განათლების განყოფილებისა და სკოლის დირექტორის (გამგის) შეუწყნარებელი უმოქმედობისა და დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, გამოცემული სახელმძღვანელო წიგნები და რვეულები მოსწავლეებს ჯერაც არ მიუღიათ. მაგალითად გორის რაიონის სოფ. ქვ. საწირის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადარბაზევის, ქორდის, ერგანეთის, დიდთავის, წითელწყაროს, შუაცურის, ქვ. არცევის და არბოს სკოლებმა სწავლის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლეს სახელმძღვანელო წიგნების მიღება „საქწიგნის" რაიონულ მაღაზიიდან; განათლების განყოფილებამ განკარგულება მისცა სკოლებს წიგნების მიღებაზე, მაგრამ ამ განკარგულების შესრულების შემოწმებაზე თავი არ შეიწუხა.

სავაჭრო ორგანიზაციების მიზეზით არევ-დარევა იქნა შეტანილი ცალკეული კლასისა და საგნისათვის დადგენილი ნიმუშის რვეულების განაწილებაში. საგარეჯოს რაიონმა მისთვის განკუთვნილი 60 ათასი რვეულიდან 43 ათასი ცალი უჯრებიანი რვეული მიიღო; ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ლაგოდეხისა და ბორჯომის რაიონებში.

ვბრძანებ:

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა 1947 წლის 25 სექტემბრამდე შეამოწმონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 11 აგვისტოს ბრძანების შესრულების მიმდინარეობა სკოლებში და შედეგი აცნობონ განათლების სამინისტროს.

2. სახელმძღვანელო წიგნების განაწილებაში დაშვებული დაუდევრობისათვის მიეთითოს გორის რაიონის განყოფილების გამგეს ს. ნოზაძეს და დაევალოს მასვე მკაცრად დასაჯოს იმ სკოლის დირექტორები (გამგეები), რომელთაც დააგვიანეს სახელმძღვანელო წიგნების, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების მიღება.

3. გაკვეთილის მოუმზადებლად ჩატარებისათვის საყვედური გამოეცხადოს გურჯაანის რაიონის სოფ. შრომისა და ლაგოდეხის რაიონის სოფ. აფენის საშუალო სკოლის მასწავლებლებს ს. ჭილაძეს და ს. დურმიშიძეს.

4. გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახის და ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბაისუბნის საშუალო სკოლის დირექტორებს ამხ. მ. მღვდლიაშვილსა და ამხ. ა. ორმოცაძეს მიეთითოთ იმის გამო, რომ მათ ჯერ კიდევ არ განუხილავთ მოსწავლეთა და მშობელთა კრებებზე განათლების სამინისტროს 11 აგვისტოს ბრძანება.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მატერიალური ფონდების განყოფილებას ერთი კვირის ვადაში უზ-

რუნველჰყოს „ცეკავშირისა“ და „საქწიგნის“ მიერ ზოგიერთ რაიო-ნისათვის სახელმძღვანელოებისა და რვეულების დაგზავნისას დაშვებულ დამახინჯებათა ლიკვიდაცია და სისტემატური კონტროლი დააწესოს სახელმძღვანელოებისა და ყველა სხვა სასწავლო ნივთის დანიშნულებისამებრ დროულად და უდანაკარგოდ დაყვანაზე.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ ორი კვირის შემდეგ შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება დასახელებულ რაიონებსა და სკოლებში და შედეგი პირადად მომახსენოს მე.

7. ეს ბრძანება განხილულ იქნას ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე
1947 წ. 5 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსი

## კურსდამთავრებულთა მოწმობებისა, სიმწიფის ატესტატებისა და გადასაყვანი მოწმობების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ სკოლებისათვის დაწესებულია შემდეგი სახის მოწმობები და სიმწიფის ატესტატები:

1. 4 კლასის დამთავრების მოწმობა;
2. 8 კლასის დამთავრების მოწმობა;
3. საშუალო სკოლის კურსის მოსმენის მოწმობა;
4. სიმწიფის ატესტატი ჩვეულებრივი, ქართული სკოლების კურსდამთავრებულთათვის;
5. სიმწიფის ატესტატი ჩვეულებრივი, რუსული სკოლების კურსდამთავრებულთათვის;
6. სიმწიფის ატესტატი ჩვეულებრივი, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების კურსდამთავრებულთათვის;
7. სიმწიფის ატესტატი ოქროს მედლით დაჯილდოებულებისა, ქართული სკოლების კურსდამთავრებულთათვის;
8. სიმწიფის ატესტატი ოქროს მედლით დაჯილდოებულებისა, რუსული სკოლების კურსდამთავრებულთათვის;
9. სიმწიფის ატესტატი ოქროს მედლით დაჯილდოებულებისა, სომხურ და აზერბაიჯანული სკოლების კურსდამთავრებულთათვის;
10. სიმწიფის ატესტატი ვერცხლის მედლით დაჯილდოებულებისა, ქართული სკოლების კურსდამთავრებულთათვის;

11. სიმწიფის ატესტატი ვერცხლის მედლით დაჯილდოებულე-ბისა, რუსული სკოლების კურსდამთავრებულთათვის;

ეროვნული

12. სიმწიფის ატესტატი ვერცხლის მედლით დაჯილდოებულე-ბისა, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების კურსდამთავრე-ბულთათვის;

13. საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (განსაკუთრებუ-ლი ფორმის).

§ 2.

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ ყველა ტიპისა და ეროვნების სკოლებისათვის მოწმობები და სიმწიფის ატესტატები იბეჭდება ორ ენაზე: ქართულსა და რუ-სულზე — ერთ გვერდზედ ქართულად და მეორეზე რუსულად;

ბ) მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების ბლანკების დაკარ-გვა-გატაცების თავიდან ასაცილებლად, განათლების სამინისტროში სპეციალური პირის გამოყოფით სისტემატური კონტროლი ეწევა მოწმობისა და სიმწიფის ატესტატების ბეჭდვის, დაბეჭდილი ბლან-კების შესაფერისად დაცულ ბინაში შენახვისა და მათი მიღება-გა-ცემის საქმეში მტკიცე აღრიცხვების დაყენებას;

გ) საქართველოს სსრ განათლების, ავტონომიური სსრ განათ-ლების სამინისტროებში და ავტონომიური ოლქისა, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებში მოწმობა-ატესტატების შე-სანახად უნდა იყოს სპეციალური ცეცხლგამძლე ყუთი.

§ 3.

მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების გაცემა განათლების სამინისტროდან სწარმოებს შემდეგი წესით:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მოწმობისა და სიმწიფის ატესტატებს ღებულობენ მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და საოლქო და სა-რაიონო განათლების განყოფილებათა გამგეები სპეციალური რწმუ-ნებით აღჭურვილი პირების საშუალებით. მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების გაცემა ცალკე სკოლებზე, ან ცალკე პირებზე აკრძა-ლულია;

ბ) მოწმობების მისაღებად საჭიროა წარედგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოხსენებასთან ერთად, შემოწმებული სახელობითი სია (გვარი, სახელი, მამის სახელი, სკოლის დასახელება) იმ მოსწავლეებისა, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდები, ხოლო სიმწიფის ატესტატების მისაღებად, შევსებული და სათანადოდ გაფორმებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაგზავნილი სპეციალური ოქმების რვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 4.

განათლების განყოფილებანი კურსდამთავრებულთა ბლანკების გაცემას სკოლაზე აწარმოებენ შემდეგი წესით:

ა) მე-4 კლასის და 8 კლასის დამთავრების მოწმობებს განათლების განყოფილებები აძლევენ სკოლას იმდენი რაოდენობით, რამდენმაც ჩააბარა გამოცდები და სკოლა ვალდებულია შეავსოს (ქართულ და რუსულ ენებზე) სუფთად, გარკვეული ხელით, შეუცდომლად და დაურიგოს კურსდამთავრებულებს.

**შენიშვნა:** 1. შეუვსებელი მოწმობების ბლანკების შენახვა სკოლაში აკრძალულია.

ბ) სიმწიფის ატესტატების შეუვსებელი ბლანკები სკოლებს არ ეძლევათ. სიმწიფის ატესტატის შევსებას აწარმოებს განათლების განყოფილება სპეციალურად მოწვეული კალიგრაფიული ხელის მქონე პირის საშუალებით. სიმწიფის ატესტატის ორივე მხარე (ქართული და რუსული) უნდა შეავსოს სუფთად, გარკვეული ხელით, გრამატიკული შეცთომების დაუშვებლად, ტუშით ან კარგი ხარისხის მელნით. შევსებული სიმწიფის ატესტატები შემდეგ გადაეცემა სკოლას და ეს უკანასკნელი აწარმოებს გაცემას. სიმწიფის ატესტატზე ხელს აწერს სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, მასწავლებელი (გარკვეულად) და სკოლის მრგვალი ბეჭედი იმგვარად უნდა იყოს დასმული, რომ ბეჭდის მთელი ზედ წარწერის ამოკითხვა თავისუფლად იყოს შესაძლებელი.

გ) განათლების განყოფილებათა მიერ შევსებული სიმწიფის ატესტატები უნდა გატარდეს შემდეგი სახის წიგნში:

| | (მოწმობების, ან სიმწიფის ატესტატების დასახელება) მიღებულია განათლების სამინისტროდან „———" ცალი | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რიგზე | მოწმობა ან ატესტ. №№ | თარიღი გაცემის | ვის მიეცა (სკოლის სრული დასახელება) | რაოდე-ნობა | ხელისმოწერა მიღებაზე |
| | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა:** 2. განათლების განყოფილებაში შეუვსებელი სიმწიფის ატესტატების შენახვა აკრძალულია.

დ) მოწმობის ან სიმწიფის ატესტატის ბლანკის შევსების დროს ან სხვა მიზნით გაფუჭების შემთხვევაში განათლების განყოფილებაში უნდა შედგეს სათანადო აქტი და სამაგიერო ბლანკის მისაღებად განათლების სამინისტროში წარმოდგენილ შუამდგომლობასთან ერთად დართული იქნეს როგორც გაფუჭებული ბლანკი, ისე საამისოდ შედგენილი აქტი.

ე) სკოლები შევსებულ მოწმობებს და სიმწიფის ატესტატებს, კურსდამთავრებულებზე გაცემის დროს, ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სპეციალურად ამისათვის შემოღებულ სარეგისტრაციო ჟურნალში.

**შენიშვნა:** 3. სარეგისტრაციო ჟურნალი, როგორც განათლების განყოფილებაში, ისე სკოლაში უნდა იქნეს ზონარგაყრილი, დალუქული და საიმედო ადგილას შენახული. მოწმობა და სიმწიფის ატესტატი უნდა ჩაბარდეს, როგორც წესი, კურსდამთავრებულთ პირადად (გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იგი მიეცეს კურსდამთავრებულის მშობლებს).

§ 5.

ა) კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობები გაიცემა შემდეგი წესით: განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ ყველა ტიპის სკოლების I, II, III, V, VI, VII, IX და X კლასის მოსწავლეებს სათანადო კლასებში შემოწმებითი გამოცდების დამთავრების შემდეგ ხელზე უნდა მიეცეთ აკადემიური წარმატებისა და კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობა, რომელშიაც სკოლის დირექტო-

რისა (გამგის) და კლასის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და შემდეგ დასმით დადასტურებული იქნება პედაგოგიური საბჭოს დადგენილება მოსწავლის შემდგომ კლასში გადაყვანის, იმავე კლასში დატოვებისა, ან ვისთვის საშემოდგომო განმეორებითი გამოცდების მიცემის შესახებ.

ბ) საშუალო სკოლის კურსის მოსმენის მოწმობა ეძლევა იმ მე-11 კლასის მოსწავლეებს, რომელთაც გამოცდები ვერ ჩააბარეს.

შენიშვნა: 4. მოწმობები და სიმწიფის ატესტატები უნდა გაიცეს არაუგვიანეს ათი დღისა გამოცდების დამთავრებიდან.

§ 6.

ა) მოსწავლეებმა, რომელთაც 1944 წლამდე ჩათვლით დაამთავრეს საშუალო სკოლის კურსი და რაიმე მიზეზის გამო ატესტატი არა აქვთ მიღებული, ხოლო არქივში მოიპოვება სრული ცნობები (ნიშნების აღნიშვნით), მიეცემათ უკანასკნელი ფორმის ჩვეულებრივი სიმწიფის ატესტატი, მიუხედავად იმისა დამთავრებული აქვს ფრიადზე თუ ჩვეულებრივად, წარწერით: „გაცემულია აღნიშნულ ბლანკზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 5 ოქტომბრის 1947 წლის ინსტრუქციული წერილის საფუძველზე“.

ბ) მოსწავლეებმა, რომელთაც 1944 წლამდე ჩათვლით დაამთავრეს საშუალო სკოლის კურსი და მიღებული ატესტატი დაკარგეს—ატესტატის დაკარგვის დადასტურების შემთხვევაში, თუ კი არქივში მოიპოვება სრული ცნობები (ნიშნების აღნიშვნით) ეძლევათ უკანასკნელი ფორმის სიმწიფის ატესტატი ჩვეულებრივი, მიუხედავად იმისა დამთავრებული აქვს „ფრიადზე“ თუ არა შემდეგი წარწერით (მარჯვნივ).

„დუბლიკატი გაცემულია აღნიშნულ ბლანკზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 5 ოქტომბრის ინსტრუქციული წერილის საფუძველზე.

გ) მოსწავლეებს, რომელთაც დამთავრებული აქვთ 1944 წლამდე ჩათვლით 7 კლასი და მოწმობა რაიმე მიზეზის გამო არ მიუღიათ, ან მიიღეს და დაკარგეს, ხოლო არქივში მოიპოვება სრული ცნობები, მიეცემათ ცნობა შვიდი კლასის დამთავრების შესახებ.

შენიშვნა: 5. მოწმობის დუბლიკატი და ატესტატის დუბლიკატი გაიცემა მხოლოდ ერთხელ, რის გამოც განათლე-

ბის განყოფილებას ევალება განსაკუთრებული თვალყური ადევნოს ამ გარემოებას და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას მეორეთ დუბლიკატის გაცემა.

§ 7.

ა) საშუალო სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლაში ან ცენტრალურ არქივში არ მოიპოვება სრული ცნობები (ნიშნების აღნიშვნით), მაგრამ დასტურდება, რომ საშუალო სკოლა დაუმთავრებია შემდეგი საბუთების მიხედვით: სკოლის მიერ გაცემული წარმატების აღრიცხვის ფურცელი, საბუთი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის შესახებ, წერილობითი მოწმობა, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, სასწავლო ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის, ან სკოლის პედაგოგიურ შემადგენლობის მიერ დადასტურებული (სამი პიროვნებისაგან) იმის შესახებ, რომ აღნიშნული პიროვნება სწავლობდა მათთან გამოსაშვებ კლასში;

ბ) აღნიშნული მოწმობების გაცემა ევალება განათლების განყოფილებას, რომელიც ვალდებულია, ისევე როგორც სიმწიფის ატესტატების გაცემის დროს, აწარმოოს აღრიცხვა და რეგისტრაცია.

§ 8.

განათლების განყოფილებებმა განათლების სამინისტროში დუბლიკატის ან მიუცემელ ატესტატის გასაცემად გადმოგზავნილ მოთხოვნილებაში უნდა აღნიშნონ შემდეგი:

„განათლების განყოფილების შემოწმებით დადასტურდა, რომ (სახელი გვარი) . . . . . . . . . . . . . . დამთავრებული აქვს 19 . . . წელს (სკოლის დასახელება) და აღნიშნულ სკოლის არქივში (სახელი, გვარი) . . . . . . . . . . . . . შესახებ არსებობს მის მიერ საშუალო სკოლის დამთავრების სრული და უტყუარი საბუთები ნიშნების ჩათვლით“.

§ 9.

მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატების ბლანკების ძილების, შესაფერ რკინის ყუთებში შენახვისა და გაცემის შესახებ ზემოაღნიშნული ინსტრუქციის გატარების საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრებათ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების

და მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების სამმართველოების უფროსებს, ავტონომიურ სს რესპუბლიკის განათლების მინისტრებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგებს და სკოლის დირექტორებს (გამგეებს). ამათვე ევალებათ ამ დადგენილების დარღვევისა, ან მოწმობებისა და სიმწიფის ატესტატის ბლანკის დაკარგვა-გატაცების შემთხვევაში კონკრეტულად დამნაშავე პირების წინააღმდეგ დაუყოვნებლივი ზომების მიღება და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უშ. ობოლაძე.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყოფილების უფროსი ა. გაბისონია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2795

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წლის 3 ნოემბერი

**„საქართველოს სსრ სკოლების ამოცანების შესახებ 1947/48 სასწავლო წელს“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების შესრულების მდგომარეობაზე დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წყალტუბოს, წითელწყაროს-სამტრედიის, ვანის, წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონების სკოლებში.**

შემოწმებით დადასტურდა, რომ აღნიშნული რაიონების სკოლების უმრავლესობა ახალ სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადა და მეცადინეობა ნორმალურად დაიწყო (წალენჯიხის, წითელწყაროსა და წყალტუბოს ქართული, წითელწყაროს რაიონის არბოშიკის, ვანის, სამტრედიის ქალთა საშუალო სკოლები და სხვ.). მაგრამ აღნიშნული რაიონების მთელ რიგ სკოლებში მეცადინეობა არანორმალურად დაიწყო.

მარნეულის რუსული რვაწლიანი, წალენჯიხის რაიონის ობუჯის საშუალო და სხვა სკოლებში შეუკეთებელია შენობის სახურავი და წვიმიან ამინდში მეცადინეობა ფერხდება. ბევრ სკოლაში ინვენტარის რემონტი ცუდია (დმანისის რაიონის ყიზილ-კილისის, ქვემო ორზუბანის, ამამლოს, მარნეულის აზერბაიჯანული და სხვა სკოლები). მერხების უქონლობის გამო ზოგან, მაგალითად, ამამლოსა და ქვემო ორზუბანის სკოლებში, თითოეულ მერხზე 6—6 მოსწავლე ზის. ზოგიერთი სკოლა სათბობით მოუმარაგებელია. მაგალითად, ბოლნისის რაიონის ოთხ შემოწმებულ სკოლიდან სათბობი აღმოაჩნდა მხოლოდ არუხლოს საშუალო სკოლას. ა/წ 25 სექტემბრისათვის ახალქალაქის რაიონის არც ერთ სკოლაში სათბობი მოზიდული არ ჰქონდათ. ანალოგიური მდგომარეობაა ბოგდანოვკის რაიონის, დიდი კონდურის საშუალო სკოლაში.

მარნეულის, დმანისის, წყალტუბოს და ბოლნისის რაიონების ზოგიერთი სკოლის პედაგოგიური კოლექტივები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებას სკოლების ძირითადი ამოცანების შესახებ 1947/48 სასწავლო წელს და არც სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი დაუსახავთ (ყიზილ-კილისის, ვანის რაიონის შუამთის, წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის საშუალო, ამავე რაიონის გვიშტიბის რვაწლიანი და სხვა სკოლები). ბევრგან უპასუხისმგებლოდაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. ყიზილ-კილისისა და ამამლოს საშუალო სკოლებში ქიმიას, ალგებრას და ფიზიკას უკანასკნელი საათები აქვს დათმობილი, ხოლო ხაზვასა და ხატვას — მე-2 და მე-3 გაკვეთილი. წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლის მეხუთე კლასში არითმეტიკის გაკვეთილები ცხრილში ერთ დღეს დაწყვილებულად არის შეტანილი, მაშინ, როდესაც მეორე დღეს არითმეტიკის გაკვეთილი ამ კლასს სრულიად არა აქვს.

ბოლნისის რაიონის რატევანის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი უნგიაძე) გაკვეთილების ცხრილში სუფთა წერის საათები შეტანილი არაა. გაკვეთილების ცხრილი ცუდათაა შედგენილი აგრეთვე არუხლოს აზერბაიჯანულ საშუალო და ბოლნისის სომხურ რვაწლიან სკოლაში. ახალქალაქის სომხურ საშუალო სკოლის X კლასის სამეცადინო ცხრილში შეტანილია ფსიქოლოგიის გაკვეთილები, რაც განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული.

მთელ რიგ სკოლებში არაა შედგენილი ახალი სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები, ხოლო ბოლნისის სომხურ (დირექტორი მინავლიანი) და მარნეულის რვაწლიან (დირექტორი მიშკოვა) სკოლებში ძველი სასწავლო-სააღმზრდელო გეგმები გადაუწერიათ და ახალი თარიღი დაუსვამთ.

მარნეულის აზერბაიჯანულ სკოლაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკისა და სხვა საგნის მასწავლებლებს 28 სექტემბერს წლიური კალენდარული გეგმები თავიანთ დისციპლინებში შედგენილი არ ჰქონდათ. ასეთ შეუწყნარებელ მდგომარეობას სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. უთავბოლო მუშაობის შედეგად ბოლნისის რაიონის ზოგიერთ სკოლაში წლიური კალენდარული გეგმა ქართულ ენაში შედგენილია 1940 წლის პროგრამის მიხედვით და თავს იმით იმართლებენ, რომ ამ საგნის 1946 წლის

გამოცემულ არაქართულ სკოლების პროგრამები ჯერ არ მიგვიღიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზევრგან სუსტადაა დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. მასწავლებლები არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის. მაგალითად, ბოლნისის საშუალო სკოლის მე-9 კლასში (რუსული სექტორი) მასწავლებელი ამუშავებს მე-10 და მე-11 კლასების პროგრამას, მაშინ როცა აღნიშნული კლასის სამუშაო გეგმაში მე-9 კლასის კურსიდან მასწავლებლის მიერ მხოლოდ ორი ლექსია შეტანილი.

არუხლოს აზერბაიჯანული საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს წლიური სამუშაო გეგმა შედგენილი აქვს არა პროგრამის, არამედ სახელმძღვანელოს მიხედვით.

ქართული ენის სწავლება სუსტადაა დაყენებული აგრეთვე მარნეულის რუსულ რვაწლიან სკოლაში.

ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს ქართული ენის შეუფასებლობას. მაგალითად, მარნეულის აზერბაიჯანული სკოლის მე-8 კლასის ორმა მოსწავლემ საშემოდგომო გამოცდებზე ქართულ ენაში მიიღო შეფასება „2“. მოსწავლეებმა „იჩივლეს“ დირექტორთან, რომელმაც ისინი სხვა მასწავლებელს გამოაცდევინა, ნიშანი „3“ დააწერინა და, ამრიგად, უცოდინარი მოსწავლეები მე-9 კლასში გადაიყვანეს. იმავე რაიონის ყიზილ-აჯილის რვაწლიან სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად დროებით დანიშნეს მ. ასკეროვი, რომელსაც ელემენტარული წარმოდგენაც არა აქვს ამ საგანზე. უარესი მდგომარეობაა არაქართულ დაწყებით სკოლებში, სადაც არ მოიპოვებიან ქართული ენის სპეციალისტი მასწავლებლები და ამ საგანს სუსტად მომზადებული პირები ასწავლიან.

ნაკლოვანებანი ქართული ენის სწავლებაში გამოწვეულია სახელმძღვანელოების საკმაო რაოდენობის უქონლობით, განსაკუთრებით მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეთათვის და ქართული ენის მასწავლებლების მუშაობაზე კონტროლის გაუწევლობით, რაც განათლების განყოფილებებში ქართული ენის მცოდნე ინსპექტორის უყოლობის შედეგია.

შემოწმებით დადასტურდა, აგრეთვე, რომ ბოგდანოვკის რაიონის ჯანოვაკანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი მომატებულ ფასებში ჰყიდდა თავის მოსწავლეებზე სასწავლო ნივთებს. არუხლოს საშუალო სკოლაში უმსგავსოდ გაანაწილეს 3.000 რვეული: ზოგ მოსწავლეს სამი და ზოგსაც 10 ცალი რვეული მისცეს. ეს იმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო გამოწვეული, რომ რვეულებს კლასის ხელმძღვანელების ნაცვა-ლად სამეურნეო ნაწილის გამგე ანაწილებდა.

მარნეულის რაიონულ მაღაზიაში ახლაც აწყვია სხვადასხვა სახელწოდების მრავალი სახელმძღვანელო, რომლებზეც სკოლაში დიდი მოთხოვნილებაა. ასე, მაგალითად, მაღაზიაში მე-5 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს საკმაო რაოდენობაა მოსწავლეთა 40%-ს კი ეს წიგნი არა აქვთ. მე-4 კლასის რუსული ენის სახელ-მძღვანელო (არარუსული სკოლებისათვის) საწყობში ბევრია, მაგრამ მარნეულის საშუალო სკოლაში ის მხოლოდ 15 მოსწავლეს აქვს. ამ სკოლაში ქართული ენის სახელმძღვანელო მხოლოდ ერთ მოსწავ-ლეს აქვს, ხოლო მაღაზიაში აღნიშნული სახელმძღვანელო საკმაო რაოდენობითაა.

მარნეულის რაიონის სკოლებმა 60.000 რვეული მიიღეს, მაგრამ მათ შორის არც ერთი ცალხაზიანი რვეული არაა. ასეთივე მდგომა-რეობაა ბოლნისისა და წალენჯიხის რაიონებში.

ზოგ სკოლაში ცუდად ტარდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი და არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების წინააღმდეგ. მაგალითად, 27/IX ყიზილ-აჯილის რვაწლიან სკოლაში 348 მოსწავლისაგან მეცა-დინეობაზე არ გამოცხადდა 78 მოსწავლე. 26/IX-ს გვიშტიბის რვა-წლიან სკოლაში 26 მოსწავლემ გაკვეთილები არასაპატიო მიზეზით გააცდინა. წყალტუბოს საშუალო სკოლაში 24/IX-ს მეცადინეობას არ დაესწრო 21 მოსწავლე და ა.შ.

ზოგან ადგილი აქვს სკოლიდან მოსწავლეთა გასვლასაც. მაგა-ლითად, ბოლნისის საშუალო სკოლიდან გასულია 30 მოსწავლე, რატევანის რვაწლიან სკოლიდან—15 მოსწავლე, ბოლნისის სომხურ რვაწლიან სკოლიდან—16, არუხლოს საშუალო სკოლიდან—40 მოს-წავლე და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს: ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, ზუგდიდის, ახალქალაქის, წყალტუბოს, წალენჯიხის, ბოგდანოვკის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექტო-რებს:

ა) ათი დღის ვადაში შეაკეთონ და წესრიგში მოიყვანონ ის სასკოლო შენობები და ინვენტარი, რომელთა შეკეთება დროზე ვერ ჩაუტარებიათ;

ბ) ხუთი დღის ვადაში განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, მშობელთა და მოსწავლეთა საერთო კრებებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება „საქართველოს სსრ სკოლების ძირითადი ამოცანების შესახებ 1947-1948 სასწავლო წელს" და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი აღნიშნული ბრძანების ცხოვრებაში გასატარებლად;

გ) პირადად შეამოწმონ სკოლებში გაკვეთილების ცხრილის შედგენის სისწორე და უზრუნველჰყონ ადგილებზე ამ ცხრილების შედგენა სადირექტივო ორგანოებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად;

დ) ერთი დეკადის ვადაში გადასინჯონ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმები, აგრეთვე მასწავლებელთა სამუშაო გეგმები იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ზუსტად და კონკრეტულად ასახავდნენ სკოლის მუშაობის ყველა მხარეს და პასუხობდნენ ახალი პროგრამების მოთხოვნებს; საჭირო ზომები მიიღონ ამ გეგმების დროულად და ხარისხობრივად შესრულების უზრუნველსაყოფად;

ე) დაუყოვნებლივ შეამოწმონ და დააზუსტონ ბავშვთა ერთი ნაწილის სკოლაში ჩაუბმელობისა და მათი სკოლიდან განთესვის მიზეზები და მიიღონ სათანადო ზომები სკოლებში მათი დასაბრუნებლად; გამოავლინონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გამოტოვების მიზეზები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი საქართველოს სსრ განათლების სამინსტროს ზემოაღნიშნული ბრძანების (პუნქტის შესაბამისად)

ვ) სასტიკი მეთვალყურეობა გაუწიონ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას, არ დაუშვან მაღაზიებში სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების ჩაწოლა და დროულად გაანაწილონ ისინი;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში ძირითადი დოკუმენტების (სასწავლო პროგრამების, გეგმების, ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულის, ატესტატებისა და მოწმობების შენახვისა და გაცემის ინსტრუქციის მოსწავლეთა პირადი საქმეების და სხვა) შენახვასა და დაცვას.



F-976

2. აღინიშნოს მარნეულის, დმანისის და წყალტუბოს განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. ამხ. ნასიბოვის, ალიევისა და ჩოგოვაძის არასაკმაო ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაზე. ვაფრთხილებ აღნიშნულ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ, თუ ისინი არ გააძლიერებენ კონტროლსა და ხელმძღვანელობას სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაზე, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

3. მოიხსნას სამუშაოდან გვიშტიბის რვაწლიანი სკოლის დირექტორი იოსელიანი იმის გამო, რომ მან თავი ვერ გაართვა სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობას და გასცა ყალბი დოკუმენტი შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შესახებ.

4. კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ინსტრუქციის დარღვევისათვის გამოეცხადოს საყვედური ახალქალაქის საშუალო სკოლის დირექტორს ასათიანს და მარნეულის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლის დირექტორს ბაირამოვს.

5. სახელმძღვანელობისა და სასწავლო ნივთების არასწორად განაწილებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით ჯანოვაკანის საშუალო სკოლის დირექტორს ს. არაქელიანს.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 11 აგვისტოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური ცხუნკურის საშუალო და ცხუნკურის რვაწლიან სკოლის დირექტორებს სვანიძეს და მდინარაძეს.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 11 აგვისტოს ბრძანების მასწავლებლებამდე თავის დროზე დაუყვანებლობისათვის მიეთითოს შუამთის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ფარცხალაძეს.

8. ქართული ენის სწავლების ცუდად დაყენებისათვის გაფრთხილება მიეცეს აროხლოს აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მასწავლებელ კ. კოროზაშვილს და მარნეულის რუსულ რვაწლიანი სკოლის მასწავლებელ აფხაზავას.

9. აღნიშნული სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოუსწორებლობის შემთხვევაში ამ სკოლის დირექტორებისა და მასწავლებელთა მიმართ მიღებულ იქნას მკაცრი ზომები.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ 1947 წლის 31 დეკემბრამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგები მომახსენოს პირადად მე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1947წლის 7 ოქტომბრის დადგენილება.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. ძუპრაძე.**

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1947 წ. „24“ ოქტომბერი.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებისა და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის უფლებისა და მოვალეობის შესახებ.**

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებისა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორი ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მასზე მიმაგრებულ რაიონებისა და ქალაქების სკოლებში—უწინარეს ყოვლისა, საშუალო სკოლებში,—სწავლებისა და აღზრდის ხარისხზე და სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო), განყოფილებათა გამგეებისა და სასკოლო ინსპექტორების მუშაობაზე აგრეთვე პედაგოგიური კაბინეტებისა და განათლების სამინისტროს სისტემის დანარჩენ დაწესებულებათა საქმიანობაზე.

2. სასკოლო ინსპექტორი სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებაში გამოცხადებისას ამოწმებს:

ა) გეგმის შესრულებას რაიონში (ქალაქად) საყოველთაო სავალდებულო სწავლებაში ბავშვთა ჩაბმის ხაზით;

ბ) სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებათა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ;

გ) სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა დაკომპლექტებას მასწავლებლებითა და ხელმძღვანელი მუშაკებით;

დ) მასწავლებლების, ინსპექტორების, სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ხაზით ჩატარებულ მუშაობას; მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების გაწევის მდგომარეობას;

ე) სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობაზე კონტროლის მდგომარეობას; სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორების შემადგენლობას, ინსპექტორების მეთოდებსა და შედეგებს;

ვ) სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის შესაქმნელად და განსამტკიცებლად ჩატარებულ ღონისძიებებს (სკოლის უზრუნველყოფა სასწავლო ხელსაწყოებით, სახელმძღვანელოებით, მოწყობილობით და ა.შ.);

3. სასკოლო ინსპექტორი სკოლაში გამოცხადებისას ამოწმებს:

ა) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებას და პედაგოგიური პროცესის სწორად წარმართვას;

გ) მოსწავლეთა შორის აღმზრდელობით მუშაობას, კლასის ხელმძღვანელების მუშაობას და მოსწავლეთა წესების გატარებას;

დ) მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დადგენილი წესის დაცვა-გატარებას;

ე) სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობას;

ვ) სკოლაში მეთოდურ მუშაობას და მასწავლებელთა დახელოვნების საქმეს;

ზ) სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობას;

თ) მშობელთა შორის მუშაობას;

ი) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აღრიცხვისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე ანგარიშგების წარმოების საქმეს;

კ) სასკოლო კაბინეტების მოწყობას და მათ გამოყენებას;

ლ) სასკოლო ქონებისა და ნივთების დაცვას;

მ) სკოლის კეთილმოწყობას და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას;

ნ) სკოლის დირექტორისა (გამგისა) და სასწავლო ნაწილის გამგის მუშაობას.

4. შემოწმების დამთავრების შემდეგ სასკოლო ინსპექტორი სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებაში ტოვებს აქტს და თავის წინადადებებს რაიონში (ქალაქად) სასკოლო მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

სახალხო განათლების განყოფილებასა და სკოლების შემოწმების შედეგებზე სასკოლო ინსპექტორი ადგენს მოხსენებით ბარათს, შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროში,

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების გან-
ყოფილებაში და ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო
განათლების განყოფილებაში, მუშაობის გაუმჯობესებისათვის მის
მიერ გატარებულ და გასატარებლად წარმოდგენილ ღონისძიებათა
თანდართვით.

5. სასკოლო ინსპექტორი მასზე მიმაგრებულ რაიონებში აწარ-
მოებს მუშაობას სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყო-
ფილებათა გამგეებთან და ინსპექტორებთან; გამოდის მათ წინაშე
მოხსენებებით და აცნობს მათ პედაგოგიური მეცნიერებისა და
პედაგოგიური პრაქტიკის მიღწევებს, სკოლების ინსპექტირების
საუკეთესო გამოცდილებას.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების,
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყო-
ფილებისა და ქ. თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების
განყოფილების სასკოლო ინსპექტორს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს სკოლები: დაესწროს გაკვეთილებს, შეამოწმოს
მოსწავლეთა ცოდნა, მიიღოს მონაწილეობა პედაგოგიურ საბჭოებისა
და მეთოდურ გაერთიანებათა მუშაობაში;

ბ) მისცეს სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყო-
ფილებათა გამგეებს, სასკოლო ინსპექტორებს, სკოლების დირექტო-
რებს (გამგეებს) და მასწავლებლებს მათთვის სავალდებულო მითი-
თებები და განკარგულებანი;

გ) მოითხოვოს სახალხო განათლების განყოფილებათა და სკო-
ლების ხელმძღვანელებისაგან შემოწმებისათვის აუცილებელი დოკუ-
მენტები;

დ) შეაჩეროს სახალხო განათლების განყოფილებათა და სკო-
ლების ხელმძღვანელთა არა კანონიერი განკარგულებანი;

ე) დროებით შესწყვიტოს სასწავლო მეცადინეობა სკოლებში,
რომელთაც არ გააჩნიათ აუცილებელი პირობები, შეატყობინებს
რა ამის შესახებ სახალხო განათლების შესაბამის განყოფილებას და
ადგილობრივ აღმასკომს, ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭოს;

ვ) დადგენილი წესით დასვას საკითხი იმ მასწავლებლების,
სკოლების დირექტორების, გამგეებისა და სახალხო განათლების
სარაიონო (საქალაქო) განყოფილებათა მუშაკების სამუშაოდან გან-
თავისუფლების შესახებ, რომლებიც შეუფერებელნი არიან თავიანთ
თანამდებობისათვის;

ზ) ჩაატაროს თათბირები მასწავლებლებთან, ინსპექტორებთან, სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელებთან;

თ) შეიტანოს თავისი წინადადებები ადგილობრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე;

ი) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების და ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მეშვეობით წარმოადგინოს წასახალისებლად და დასაჯილდოვებლად საუკეთესო მასწავლებლები, სკოლების დირექტორები (გამგეები) ინსპექტორები, სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებათა გამგეები; რეკომენდაცია გაუკეთოს ღირსეულთ, მათთვის დამსახურებულ მასწავლებლების წოდების მისანიჭებლად, აგრეთვე ხელმძღვანელ სამუშაოზე დასაწინაურებლად;

კ) დაესწროს სარაიონო (საქალაქო), საოლქო აღმასკომებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს სხდომებს მასზე მიმაგრებულ რაიონების სკოლების მუშაობის შესახებ საკითხის განხილვის დროს;

ლ) ისარგებლოს ადგილობრივი აღმასკომების განკარგულებაში არსებულ მოძრაობისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

7. სასკოლო ინსპექტორი მუშაობს, შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების საოლქო განყოფილების გამგისა და ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ და უშუალოდ ემორჩილება შესაბამის განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსს, სახალხო განათლების საოლქო და საქალაქო განყოფილებათა სასკოლო სექტორის უფროსს; სასკოლო ინსპექტორი მუშაობს დამტკიცებული გეგმით და პასუხისმგებელია მასზე მიმაგრებულ რაიონსა და ქალაქში სასკოლო საქმის მდგომარეობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა

### უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1947წ. 28 ოქტომბერი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სკოლებში უცხო ენების სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილების ის ნაწილი, რომლის მიხედვით საშუალო სკოლამ კურსდამთავრებული უნდა უზრუნველჰყოს ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნით, ჯერ კიდევ არ სრულდება.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა, როგორც წესი, არ იციან უცხო ენა, სიტყვათა მარაგის სიღარიბის გამო უძნელდებათ ტექსტის თარგმნა, არ შეუძლიათ პრაქტიკაში გამოიყენონ შესწავლილი გრამატიკული წესი და სხვა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზებია:

მასწავლებელთა კადრების სიმცირე და მათი საგრძნობი ნაწილის დაბალი კვალიფიკაცია;

სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების საჭირო რაოდენობით უქონლობა;

უცხო ენების სწავლებაზე კვალიფიციური ხელმძღვანელობისა და კონტროლის სისუსტე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ა/წ 4 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, უცხო ენების სწავლების გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ა დ გ ე ნ ს:

I. დაწესდეს ქალაქის სკოლებში წლების მიხედვით უცხო ენების სწავლების შემდეგი შეფარდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | 1948 წ. | 1949 წ. | 1950 წ. | 1951 წ. | 1952/53 |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისური ენა . . | 32% | 35% | 40% | 45% | 45% |
| ფრანგული ენა . . | 18% | 18% | 18% | 20% | 20% |
| გერმანული ენა . . | 50% | 47% | 42% | 35% | 25% |
| ესპანური ენა . . | — | — | — | — | 10% |

დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს და კადრების განყოფილებას ზუსტად იხელმძღვანელონ ამ შეფარდებით და პრაქტიკულად გაატარონ იგი ცხოვრებაში.

II. 1948-49 სასწავლო წლიდან ქ. თბილისის 10 სკოლაში, ქ. ქუთაისის ხუთ სკოლაში, ქ. სოხუმისა და ბათუმის სამ-სამ სკოლაში შემოღებულ იქნას ერთ-ერთი უცხო ენის სწავლება მე-3 კლასიდან.

III. გაძლიერდეს განათლების სამინისტროს მიერ კონტროლი და ხელმძღვანელობა რესპუბლიკის სკოლებში უცხო ენების სწავლების საქმეზე, სამინისტროს მეთოდისტებისა და ინსპექტორების საშუალებით სისტემატურად იქნას შესწავლილი უცხო ენების სწავლების მდგომარეობა ქალაქისა და რაიონის სკოლებში; შედეგები მოსმენილ იქნას კოლეგიის სხდომაზე წელიწადში 2-ჯერ მაინც და დაისახოს ღონისძიებანი შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად.

IV. წინადადება მიეცეს რაიონის განათლების განყოფილებების გამგეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უცხო ენების სწავლების საქმეს, რაიონის პედკაბინეტებმა გააძლიერონ უცხო ენების სექციების მუშაობა; მოაწყონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადოება და ინდივიდუალური დახმარება გაუწიონ დამწყებ მასწავლებლებს.

V. დაევალოს სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებას, რათა 1948-49 და 1949-50 სასწავლო წლებისათვის გაითვალისწინონ:

1. უცხო ენების სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემა ისეთი ტირაჟით, რომ თითოეულ კლასში სახელმძღვანელო მოდიოდეს თითოეულ მოსწავლეზე;

2. ინგლისურ-ქართული, ფრანგულ-ქართული და გერმანულ-ქართული ლექსიკონების გამოცემა თითოეულისა ორმოც[illegible] ფორმის მოცულობით;

3. თვალსაჩინო ხელსაწყოების— ფონეტიკური და ორთოგრაფიული ტაბულების გამოცემა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე;

4. კლასგარეშე საკითხავი მოთხრობებისა და მეტყველების განვითარებისათვის საჭირო სასაუბრო მასალის გამოცემა სათანადო ლექსიკონებითა და კომენტარებით ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

VI. დაევალოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტს გამოსაცემად დაამზადოს:

1948-49 სასწავლო წლისათვის:

ა) ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების ექსპერიმენტული სახელმძღვანელოები III—IV კლასებისათვის;

ბ) სიტყვარი—მინიმუმი, სამივე ენაში;

გ) ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა;

2. 1949-50 სასწავლო წლისათვის:

ა) ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა;

ბ) გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა;

გ) ინგლისური ენის გრამატიკა;

დ) ფრანგული ენის გრამატიკა;

ე) ქართულ-ინგლისური სასკოლო ლექსიკონი;

ვ) ქართულ-ფრანგული სასკოლო ლექსიკონი;

ზ) ქართულ-გერმანული სასკოლო ლექსიკონი;

3. 1950-51 სასწავლო წლისათვის:

ა) ესპანურ-ქართული სასკოლო ლექსიკონი;

ბ) ქართულ-ესპანური „ „

გ) ესპანური ენის სწავლების მეთოდიკა;

დ) ესპანური ენის გრამატიკა.

VII. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს:

1. უცხო ენების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 1948 წლიდან ყოველ ზაფხულს მოაწყოს ერთთვიანი კურსები. თითოეული მასწავლებელი კურსებზე აუცილებლად იქნას გატარებული სამ წელიწადში ერთხელ. 1947 წ. კურსები მოეწყოს დეკემბრის თვეში.

2. 1948 წლიდან მოაწყოს ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების მეთოდური კაბინეტები.

ეროვნული

3. მოაწყოს მოკლევადიანი კურს-სემინარები განყოფილების ინსპექტორ-მეთოდისტებისათვის.

4. სისტემატურად მოაწყოს უცხო ენების მასწავლებელთათვის კონსულტაციები და სემინარები.

VIII. დაისვას საკითხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიის წინაშე, რათა:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან უცხო ენათა განყოფილება 6 მეთოდისტის შტატით.

2. შეყვანილ იქნას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებისა და სამხრეთ-ოსეთის განათლების განყოფილების შტატების შემადგენლობაში უცხო ენების სამ-სამი ინსპექტორ-მეთოდისტი.

3. შეყვანილი იქნას მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შტატის შემადგენლობაში უცხო ენების სამი მეთოდისტი.

4. შეყვანილი იქნას ქ. თბილისის განათლების განყოფილების ინსპექტორთა შტატის შემადგენლობაში უცხო ენების სამი ინსპექტორ-მეთოდისტი.

IX. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე 1949/50 სასწავლო წლიდან ქ. თბილისში სამეურნეო ანგარიშზე უცხო ენების სამწლიანი კურსების გახსნის შესახებ.

დაევალოს მოზრდილთა სკოლების სამმართველოს შეიმუშაოს დებულება უცხო ენების კურსებისათვის.

X. გაზეთ „სახალხო განათლებამ" მოაწყოს მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება და სისტემატურად მოათავსოს მეთოდური წერილები უცხო ენების სწავლების ცალკეულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის თავმჯდომარე განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2587

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წლის 30 სექტემბერი

განვიხილე რა მასალებს რუსული ენის შესასწავლი კურსების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ მოსამზადებელ ღონისძიებათა გეგმიანად წარმართვის შედეგად საკმაოდ ორგანიზებულად ჩატარდა კურსებზე ჩასარიცხავ მსმენელთა აღრიცხვა, ჯგუფების დაკომპლექტება, კურსების მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა, მასწავლებელთა შერჩევა და სხვ. მცირე გამონაკლისს გარდა, კურსებზე მეცადინეობა დაიწყო დანიშნულ დროს (1-ლ სექტემბერს). კურსებზე მეცადინეობა სწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ერთიანი სამეცადინო ცხრილის მიხედვით და უმრავლეს შემთხვევაში ნორმალურად მიმდინარეობს.

დაგეგმილი კონტინგენტის 1500 კაცის ნაცვლად კურსებზე ჩაბმულია, მაიაკოვსკისა და ჩხარის რაიონების გამოკლებით, 1806 მსმენელი. კურსებზე ჩაბმულ მსმენელთა უმრავლესობას შეადგენს რაიონული (საქალაქო) პარტიული და საბჭოთა აქტივი: ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლების დირექტორები, მასწავლებლები, სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები. კურსების მასწავლებლად შერჩეული არიან კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგები.

რუსული ენის შესასწავლი კურსების მუშაობა კარგად არის დაყენებული აჭარის ასსრ-ში, ქ. ქ. ქუთაისსა და ფოთში, გეგეჭკორის, გორის, ლანჩხუთის, ახალციხის, ბორჯომის, ზუგდიდის, მახარაძის, ტყიბულის, ცხაკაიას, წულუკიძისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ალნიშნულ რაიონებში მეცადინეობა კურსებზე რეგულარულად მიმდინარეობს, მეცადინეობისათვის დაწესებულ დღეებსა და საათებში. მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრება ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ქ. ქუთაისში შემოწმების დღეს მეცადინეობაზე მსმენელთა უმიზეზოდ გამოუცხადებლობას ადგილი არა ჰქონია. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ კურსების მასწავლებლებად არიან კვალიფიციური პედაგოგები, მაგალ. ქ. ქუთაისში მასწავლებლებად შერჩეული არიან ნ. კახიანი 30 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟით, თ. რუხაძე—25 წლის პედსტაჟით და სხვა. ალნიშნულ მასწავლებლებს აქვთ მოზრდილებთან მუშაობის გამოცდილება. ისინი მუშაობენ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, ყურადღებას ამახვილებენ მსმენელების ვარჯიშზე სასაუბრო ენაში, ლიტერატურული მასალის გავლას უკავშირებენ გრამატიკულ ვარჯიშს, სისტემატურად ატარებენ წერით მუშაობას (დამუშავებული ნაწარმოების გეგმის შედგენა, კითხვებზე პასუხის გაცემა, წინასწარ მომზადების საფუძველზე კარნახის ჩატარება და სხვ). ასეთი მუშაობის შედეგად მათ მიერ ჩატარებული მეცადინეობა საკმაო ინტერესს იწვევს მსმენელებში და უკვე მცირე დროის განმავლობაში შესამჩნევია კურსების მსმენელთა წინსვლა რუსული ენის შესწავლის მხრით.

ამასთან ერთად საჭიროა ალინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილება საკმაო სერიოზულობით არ მოეკიდა რუსული ენის შესასწავლი კურსების ორგანიზაციის საქმეს. მაგალითად, აგვისტოს დამლევისათვის მოსამზადებელი მუშაობა არ იყო დამთავრებული საგარეჯოსა და ქუთაისის რაიონებში, რის გამოც მეცადინეობა დაგვიანებით დაიწყო (საგარეჯოში 15 სექტემბერს, ქუთაისის რაიონში—17 სექტემბერს).

კურსების მუშაობის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები. მაგალითად, მცხეთის რაიონში კურსების 12 მსმენელიდან მეცადინეობას არ დაესწრო: 1-ლ სექტემბერს—9 მსმენელი, 3 სექტემბერს—5, 4 სექტემბერს—6, 5 სექტემბერს—5, 8 სექტემბერს—6, 10 და 11 სექტემბერს—6, 12 სექტემბერს—9 მსმენელი და სხვ.

ხაშურის რაიონში შემოწმების დღეს 1-ლ ჯგუფში 14 მსმენელიდან მეცადინეობას არ ესწრებოდა 6 კაცი, მე-2 ჯგუფის 14 მსმენელიდან—7 კაცი, მე-4 ჯგუფის 10 მსმენელიდან—3 კაცი. მეცადინეობის გაცდენის შემთხვევებს ადგილი აქვს აგრეთვე თელავის, ლაგოდეხის და ქარელის რაიონებში. მეცადინეობის გაცდენა ძირითა-

დად გამოწვეულია მუშაკების ხშირი მივლინებებით რაიონის სოფლებში. სახალხო განათლების განყოფილებები არ აყენებენ სათანადო ორგანოებში საკითხს ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს:

ა) რუსული ენის შესასწავლი კურსების მუშაობის უკვე მიღებული გამოცდილების საფუძველზე მიიღონ საჭირო ზომები კურსების მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად და იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რაც აფერხებს აღნიშნულ კურსებზე მეცადინეობის სისტემატურად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას.

ბ) ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში დასვან საკითხი იმ მსმენელთა შესახებ, რომლებიც მეცადინეობას რეგულარულად არ ესწრებიან, არ დაუშვან მეცადინეობის დაშლა და შეუქმნან მსმენელებს პირობები მეცადინეობაზე სისტემატურად დასწრებისათვის.

გ) ყოველმხრივად გააძლიერონ ოპერატიული ხელმძღვანელობა რუსული ენის შესასწავლი კურსების მუშაობაზე და პრაქტიკულად დაეხმარონ მასწავლებლებს კურსებზე სასწავლო მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის.

დ) დასვან ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში საკითხი რუსული ენის შესასწავლი კურსების მდგომარეობის შესახებ და მიაღწიონ სათანადო ღონისძიებათა გატარებას კურსების მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის.

2. მიეთითოს ქუთაისის, მცხეთის, ხაშურის, ქარელისა და საგარეჯოს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. შავგულიძეს, მგალობლიშვილს, მეტრეველს, ჭავჭანიძესა და ახვლედიანს იმაზე, რომ მათ ვერ უზრუნველჰყვეს რუსული ენის შესასწავლი კურსების მუშაობის ნორმალურად წარმართვა და მეცადინეობის სათანადოდ დაყენება.

ვაფრთხილებ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ, უკეთუ ისინი უმოკლეს დროში არ უზრუნველჰყოფენ რუსული ენის შესასწავლი კურსების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და მეცა-

დინეობის გაცდენების ლიკვიდაციას, მათ მიმართ მიღებული იქნება სათანადო ზომები.

ეროვნული

3. მიეთითოს მაიაკოვსკისა და ჩხარის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. კოტორეიშვილსა და სახეჩიძეს იმაზე, რომ მიუხედავად არა ერთი მოგონებისა, მათ დღემდე არ წარმოუდგენიათ რუსული ენის შესასწავლი კურსების მსმენელთა სახელობითი სია (მოთხოვნილი ფორმის მიხედვით).

4. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ სისტემატურად შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგები მოახსენოს კოლეგიაზე განსახილველად.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი ვ. კუპრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 1994

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## 1947—1948 სასწავლო წლის საქართველოს სსრ სკოლების ძირითადი ამოცანების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ სკოლებში სწავლის ვადის გახანგრძლივებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებას. გასული, 1946—1947 სასწავლო წლის შედეგებმა ცხადჰყვეს, რომ თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლა ღრმა ხარისხობრივი ცვლილებების დასაბამი შეიქნა; ჩვენი სკოლების მოწინავე მასწავლებლობამ სათანადოდ გამოიყენა ის უპირატესობანი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, რაც სწავლის ვადის გადიდებამ მოგვცა.

არსებითად ამაღლდა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონე. საგრძნობლად გადიდდა მოსწავლეთა რიცხვი სკოლებში. სკოლების დიდმა ნაწილმა 1946 წლის პირველ სექტემბრიდან ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა.

მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ 1946—1947 სასწავლო წელს ვარჯიშისა და განმეორების, გამოცდებისათვის მზადებისა და მოსწავლეთა წარმატების ზუსტად და ობიექტურად შეფასების საქმე სწორად იყო ორგანიზებული.

გამოცდებმა ცხადჰყვეს, რომ რესპუბლიკის მრავალი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, განსაკუთრებით თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სუხუმის, გორის, მახარაძისა და თელავის, ზესტაფონის, ხაშურის, სამტრედიის და სხვა რაიონების სკოლებიდან კარგად არის დაუფლებული მეცნიერებათა საფუძვლებს: წიგნიერია, ნაკითხია, სათანადოდ ერკვევა ლიტერატურულ მოვლენებში; სწორად მეტყველებს და წერს რუსულ ენაზე; საფუძვლიან ცოდნას იჩენს მათემატიკაში, სამოქალაქო ისტორიაში, გეოგრაფიაში; შეგნებულად

აქვს ათვისებული მეცნიერული კანონები, წესები, დებულებანი ბუნებათმეცნიერებიდან და შესწევს უნარი ეს ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენოს.

მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ წელს სიმწიფის ატესტატზე გამოცდები XI კლასის 11.373 მოსწავლისაგან ჩააბარა 9.771 მოსწავლემ (95,8%), მაშინ, როდესაც 1945 წელს X კლასის 13.969 მოსწავლისაგან გამოცდა ჩააბარა და ატესტატი მიიღო მხოლოდ 7.635 მოსწავლემ (54,7%). სწავლების ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების დამადასტურებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ წელს ოქროსა და ვერცხლის მედალი მიიღო 800 მდე მოსწავლემ, ე. ი. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა თითქმის 9%, ხოლო 1945 წელს 319 ოქროსა და ვერცხლის მედალი გაიცა, ე. ი. მედლები მიიღო კურსდამთავრებულთა მხოლოდ 4%.

ამ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რაც იმით გამოიხატება, **რომ სწავლა-აღზრდის საქმის გადაჭრით გაუმჯობესება მასობრივად ჯერ კიდევ არ არის მიღწეული და რესპუბლიკის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ აძლევს მოსწავლეებს დაწესებული პროგრამების ფარგლებში საფუძვლიანსა და ღრმა ცოდნას.**

საინსპექტორო გამოკვლევის მასალები, წერითი ნამუშევრების ანალიზი და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები ადასტურებენ, რომ რესპუბლიკის საშუალო სკოლების 1947 წელს კურსდამთავრებულთა ნაწილი საშუალო სკოლის კურსის არადამაკმაყოფილებელ ცოდნას იჩენს. დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს:

**ქართულ ენასა და ლიტერატურაში:** ზუგდიდის რაიონის ორულუს, დარჩელის, რუხის, კახათის, ორსანტიის, ბოლნისის რაიონული სკოლის, კასპის — ლამისყანის, საგარეჯოს რაიონის სართიჭალის, ყვარლის რაიონის შილდის, ვანის რაიონის შუაგორისა და ისრითის და სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეებმა;

**რუსულ ენაში:** ონის რაიონის ღებისა და უწერის, ქვემო სვანეთის რაიონის ჯახუნდერის, ქუთაისის რაიონის დერჩის, გარის, ზევერის, გალის რაიონის ოტობაიის, მარნეულის რაიონის შაუმიანის, ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის, ზუგდიდისა და წალენჯიხის და სხვა რაიონების ზოგიერთი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა;

**მათემატიკურ დისციპლინებში:** ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს, ქ. ახალქალაქის ქართული საშუალო, ქარელის რაიონის ბრეთის, ზნაურის რაიონის ავნევის, ლანჩხუთის რაიონის მამათისა და ნიგვზიანის, ვანის რაიონის საპრასიის, მახარაძის რაიონის ცხემლისხიდის და რესპუბლიკის სხვა ზოგიერთი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა;

**ფიზიკაში:** თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის რუსული საშუალო, ყაზბეგის რაიონის ყაზბეგისა და სიონის, ქლუხორის ქართული საშუალო, ონის რაიონის ღების, წალენჯიხის რაიონის ლიის, ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს, ცხაკაიას რაიონის ნოსირის, გურჯაანის რაიონის ველისციხის, ცაგერის და სხვა საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

სკოლის მუშაკთა ყურადღება განსაკუთრებით მიექცა იმას, რომ სკოლების მნიშვნელოვან ნაწილის, ყოველდღიურ სასწავლო მუშაობაში ყურადღების ცენტრი გამოსაშვებ კლასებზე გადაიტანეს და სხვა კლასების მოსწავლენი მიივიწყეს. მცირე არ არის ისეთი საშუალო სკოლების რიცხვიც, სადაც ამ არაჯანსაღმა ტენდენციამ კიდევ უფრო საზიანო ხასიათი მიიღო, რაც იმაში გამოიხატა, რომ XI კლასებში წინასწარ „შეარჩიეს" ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა კანდიდატები და პედაგოგთა კოლექტივი უმთავრესად მათთან აწარმოებდა მუშაობას, დანარჩენი მოსწავლენი უყურადღებოდ რჩებოდნენ, ხშირად მათი წარმატების შეფასება გამოცდებზე ზერელედ ხდებოდა და ზოგიერთმა მათგანმა დაუმსახურებლად მიიღო საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი.

სწავლა-აღზრდის საქმეში არსებულ ამ ნაკლოვანებათა უმთავრეს მიზეზად ვსთვლი იმას, რომ:

ა) რესპუბლიკის სკოლების მასწავლებლობის ერთი ნაწილი სუსტად მუშაობს იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის; ჯერ კიდევ სუსტია მასწავლებლის მუშაობაზე კონტროლი განათლების განყოფილებებისა, სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მხრივ;

ბ) მრავალ სკოლაში დაბალია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია სასწავლო რეჟიმი; მოსწავლეთა მხრივ ადგილი აქვს ხშირ გაცდენას, უმიზეზოდ დაგვიანებებს, უდისციპლინობას;

გ) ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე თვით ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, შესაფერი ავტო-

რიტეტი არ გააჩნია და ვერ ახერხებს ერთიანად დარაზმოს მასწავლებლები სწავლა-აღზრდის წინაშე მდგარი საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად;

(დ) სკოლების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არ გააჩნია შესაფერი სასწავლო ბაზა — სასწავლო კაბინეტები, დიდაქტიკური ხელსაწყოები, სასკოლო ბიბლიოთეკები და ნაკლებად ჩანს ზრუნვა, ინიციატივა, რათა სკოლა ამ საშუალებებით უზრუნველყოფილ იქნას.

1947—1948 სასწავლო წელს საქართველოს სსრ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისა და განათლების ორგანოების წინაშე დაისახოს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. სწავლების გარეშე დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვების სრულად ჩაბმა სკოლებში და მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნება;

2. სკოლის მუშაკთა შორის შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, დადგენილი სასკოლო რეჟიმის განუხრელად და ზუსტად გატარება;

3. აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება და მოსწავლეთა შორის მტკიცე დისციპლინის დანერგვა;

4. არაგამოსაშვები კლასებისა და დაბალი და საშუალო წარმატების მოსწავლეთათვის ჯეროვანი ყურადღების მიქცევა და სკოლის მუშაკთა შორის იმ არაჯანსაღი განწყობილების აღკვეთა, რომლის გამოც, მრავალ სკოლაში, არაგამოსაშვებ კლასებსა და დაბალი და საშუალო წარმატების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა მეორეხარისხოვან ამოცანად იყო მიჩნეული;

5. მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონის ამაღლება და ამ მიზნით სათანადო მუშაობის ჩატარება დედაენის, რუსული ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების გაკვეთილებზე;

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მთლიანად და მაღალხარისხოვნად გავლის მიზნით: ა) გაკვეთილისათვის საფუძვლიანად მზადება და თითოეული გაკვეთილის მაღალხარისხოვნად ჩატარება; ბ) სოფლად ადგილებში სწავლების მტკიცედ დაკავშირება სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან; გ) დედაენასა, რუსულ ენასა, უცხოენასა და მათემატიკურ საგნებში საკლასო, საკლასო-საკონტროლო და საშინაო წერითი სამუშაოების ზუსტად ჩატარება განათლების სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით და წერითი ნამუშევრების საფუძვლიანად გასწორება, ხოლო იმ სკოლებში, სადაც [illegible] მეტყველება განსაკუთრებით არის ჩამორჩენილი — დამატებითი ღონისძიების გატარება; დ) მათემატიკურ საგნების — არითმეტიკის, ალგებრის, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიის ამოცანათა კრებულებში მოცემული ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნა-გამოყვანა უკლებლივ; ე) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების შევსება-მოწესრიგება, ამ საგნების პროგრამებით დაწესებული სადემონსტრაციო ექსპერიმენტების სრულად მოწყობა და ფიზიკისა, ქიმიისა, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში მითითებული ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების უკლებლივ ჩატარება და ამოცანების მთლიანად ამოხსნა.

7. ცოდნის შეფასების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დირექტივების განუხრელად გატარება და ამ დარგში ჯერ კიდევ არსებული ლიბერალიზმის მთლიანად აღმოფხვრა;

8. სასწავლო გეგმების, პროგრამების, განათლების სამინისტროს ბრძანებების, მითითებების და სხვა სადირექტივო დოკუმენტების საფუძვლიანად შესწავლა, განუხრელად გატარება და მათი სათანადოდ მოვლა-დაცვა;

9. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შევსება, ბიბლიოთეკების მოწესრიგება და კლასგარეშე კითხვის საქმის გადაჭრით გაუმჯობესება;

10. კლასგარეშე მუშაობის, მოსწავლეთა ორგანიზაციების მუშაობისა და მშრომელთა შორის მუშაობის გაუმჯობესება;

11. სასკოლო დოკუმენტების — საკლასო ჟურნალის, მოსწავლეთა პირადი საქმეების, წარმატების აღრიცხვის ჟურნალის, მოწმობა-ატესტატების გაცემის სააღრიცხვო წიგნის, სასკოლო კაბინეტების საინვენტარო წიგნისა და სხვათა უნაკლოდ წარმოება.

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლები, დირექტორები (გამგეები), სასწავლო ნაწილის გამგეები გაფრთხილებულ იქნან, რომ ამ ბრძანებით დაწესებული ამოცანების შეუსრულებლობის (გაკვეთილზე მოუმზადებლად გამოცხადების, წერითი სამუშაოების ნორმის შეუსრულებლობის, ამოცანების მთლიანად ამოუხსნელობის, სასკოლო ექსპერიმენტის, ლაბორატორიულ-პრაქტიკული სავარჯიშოების ჩაუტარებლობის და სხვ.) შემთხვევაში განათლების სამინისტრო მათ მიმართ მკაცრ ზომებს მიიღებს.

დაწესდეს, რომ V—XI კლასების იმ მოსწავლეებს, რომლებიც უმიზეზოდ გამოტოვებენ ზედიზედ სამ სამეცადინეო დღეს და დაბალი წარმატება აქვთ, ყოფაქცევაში უნდა დაეწიოთ ნიშანი, ხოლო ის მოსწავლენი, რომლებიც ამის შემდეგ უმიზეზოდ კვლავ გააცდენენ მეცადინეობას, გარიცხულ უნდა იქნან სკოლიდან. მათი გარიცხვის საკითხი განხილულ უნდა იქნას პედაგოგიურ საბჭოზე.

V—VIII კლასებიდან ამ მიზეზით გარიცხული მოსწავლეების აღდგენის უფლება მიეცმა ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, ხოლო IX—XI კლასებიდან გარიცხული მოსწავლეების აღდგენისა—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე შესაბამისად—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილებებს, ხოლო დანარჩენი რაიონებისა და ქალაქებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

დაევალოს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს) ახალ სასწავლო წელს სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის შედგენისას იხელმძღვანელონ ამ ბრძანებით, აღმოფხვრან მასწავლებელთათვის დახმარებისა და მათ მუშაობაზე კონტროლის დარგში არსებული ფორმალიზმი, დახმარებას და კონტროლს კონკრეტული საქმიანი ხასიათი მისცენ, ერთიანად დარაზმონ პედაგოგიური კოლექტივი დასახული ამოცანების გარშემო და უზრუნველჰყონ ამ ამოცანების მაღალხარისხოვნად შესრულება.

ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა უნდა გააძლიერონ მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების საქმე, არსებითად გარდაქმნან კონტროლი—მისცენ მას სისტემატური ხასიათი, განიხილონ მისი შედეგები, განაზოგადონ მოწინავე სკოლების გამოცდილება და მკაცრად დასაჯონ სკოლის ის მუშაკები, რომლებიც ამ ბრძანებით დასახული ამოცანების შესრულების საქმეს არასათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდებიან.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ სკოლების შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ბრძანების შესრულების შემოწმებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.

## სასწავლო გეგმები 1947-1948 სასწავლო წლისათვის

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების მინისტრ ვ. კუპრაძის მიერ

**სასწავლო გეგმა საქართველოს სსრ ქართული დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის**

| საგნის დასახელება | კვირეული საათების რაოდენობა | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I კლ. | II კლ. | III კლ. | IV კლ. | V კლ. | VI კლ. | VII კლ. | VIII კლ. | IX კლ. | X კლ. | XI კლ. | სულ |
| ქართული ენა | 14[1] | 9[1] | 10[1] | 7 | 4 | 4 | 3 | 2 | — | — | — | 53 |
| ქართული ლიტერატურა | — | — | — | — | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 4 | 24 |
| რუსული ენა | — | 6 | 7 | 6 | 7 | 7 | 7 | 6 | 3 | 3 | 3 | 55 |
| რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 | 3 | 9 |
| უცხო ენა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 14 |
| ისტორია | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 5[2] | 5[2] | 24 |
| კონსტიტუცია | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | 1 |
| არითმეტიკა | 7 | 6 | 6 | 6 | 6 | 2 | — | — | — | — | — | 33 |
| ალგებრა-გეომეტრია-ტრიგონომეტრია | — | — | — | — | — | 3 | 6 | 4 | 6 | 5 | 5 | 29 |
| ფიზიკა | — | — | — | — | — | — | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 14 |
| ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 |
| ბუნებისმეტყველება | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | — | — | 13 |
| ქიმია | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 3 | 10 |
| გეოგრაფია | — | — | — | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | — | 16 |
| ფსიქოლოგია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| ლოგიკა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2 |
| სამხედრო მომზადება | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | 3 |
| ფიზიკური მომზადება | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 17 |
| ხატვა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 6 |
| ხაზვა | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 |
| სიმღერა | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 4 |
| სულ | 24 | 24 | 27 | 29 | 32 | 32 | 32 | 32 | 34 | 34 | 34 | 334 |

[1] სუსტთა წრისათვის განკუთვნილი 2 საათის ჩათვლით.
[2] სუსტთა წრისათვის განკუთვნილი 66 საათის ჩათვლით.



| წლიური საათები რაოდენობა | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I კლ. | II კლ. | III კლ. | IV კლ. | V კლ. | VI კლ. | VII კლ. | VIII კლ. | IX კლ. | X კლ. | XI კლ. | სულ |
| 462[1] | 297[1] | 330[1] | 231 | 132 | 132 | 99 | 66 | — | — | — | 1749 |
| — | — | — | — | 99 | 99 | 99 | 99 | 132 | 132 | 132 | 792 |
| — | 198 | 231 | 198 | 231 | 231 | 231 | 198 | 99 | 99 | 99 | 1815 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 99 | 99 | 99 | 297 |
| — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 462 |
| — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 132 | 165[3] | 165[4] | 792 |
| — | — | — | — | — | — | — | 33 | — | — | — | 33 |
| 231 | 198 | 198 | 198 | 198 | 66 | — | — | — | — | — | 1089 |
| — | — | — | — | — | 99 | 198 | 132 | 198 | 165 | 165 | 957 |
| — | — | — | — | — | — | 66 | 99 | 99 | 99 | 99 | 462 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 |
| — | — | — | 66 | 66 | 99 | 66 | 66 | 66 | — | — | 429 |
| — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 99 | 99 | 330 |
| — | — | — | 66 | 99 | 99 | 66 | 66 | 66 | 66 | — | 528 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | — | 33 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 | 99 |
| 33 | 33 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 33 | 33 | 33 | 561 |
| 33 | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | — | — | — | — | — | 198 |
| — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | 165 |
| 33 | 33 | 33 | 33 | — | — | — | — | — | — | — | 132 |
| 792 | 792 | 891 | 957 | 1056 | 1056 | 1056 | 1056 | 1122 | 1122 | 1122 | 11022 |

[3] აქედან ორი საათი ეთმობა საქართველოს ისტორიას.
[4] აქედან 66 საათი ეთმობა საქართველოს ისტორიას.

## სასწავლო გეგმა საქართველოს სსრ რუსული დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლებისათვის

| საგნის დასახელება | კვირეული საათების რაოდენობა I კლ. | II კლ. | III კლ. | IV კლ. | V კლ. | VI კლ. | VII კლ. | VIII კლ. | IX კლ. | X კლ. | XI კლ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსული ენა და ლიტერატურული კითხვა | 14[1] | 11[1] | 13[1] | 8 | 8 | 8 | 7 | 5 | — | — | — | [illegible] |
| რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 5 | 5 | 5 | 15 |
| ქართული ენა | — | 4 | 4 | 5 | 6 | 6 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 43 |
| ქართული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 | 3 | 9 |
| უცხო ენა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 14 |
| ისტორია | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 5[2] | 5[2] | 24 |
| კონსტიტუცია | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | 1 |
| არითმეტიკა | 7 | 6 | 6 | 6 | 6 | 2 | — | — | — | — | — | 33 |
| ალგებრა-გეომეტრია-ტრიგონომეტრია | — | — | — | — | — | 3 | 6 | 4 | 6 | 5 | 5 | 29 |
| ფიზიკა | — | — | — | — | — | — | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 14 |
| ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 |
| ბუნებისმეტყველება | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | — | — | 13 |
| ქიმია | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 3 | 3 | 10 |
| გეოგრაფია | — | — | — | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | — | 16 |
| ფსიქოლოგია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| ლოგიკა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2 |
| სამხედრო მომზადება | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | 3 |
| ფიზიკური მომზადება | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 17 |
| ხატვა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | 6 |
| ხაზვა | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 |
| სიმღერა | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 4 |
| სულ | 24 | 24 | 27 | 29 | 32 | 32 | 32 | 32 | 34 | 34 | 34 | 334 |

[1] სუსტთა წრისათვის განკუთვნილი 2 საათის ჩათვლით.
[2] სუსტთა წრისათვის განკუთვნილი 66 საათის ჩათვლით.

| საგნის დასახელება | წლიური საათების რაოდენობა I კლ. | II კლ. | III კლ. | IV კლ. | V კლ. | VI კლ. | VII კლ. | VIII კლ. | IX კლ. | X კლ. | XI კლ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსული ენა და ლიტერატურული კითხვა | 462[3] | 363[3] | 429[3] | 264 | 264 | 234 | 231 | 165 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 2442 |
| რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 165 | 165 | 165 | 495 |
| ქართული ენა | — | 132 | 132 | 165 | 198 | 198 | 198 | 198 | 66 | 66 | 66 | 1419 |
| ქართული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 99 | 99 | 99 | 297 |
| უცხო ენა | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 462 |
| ისტორია | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 132 | 165[4] | 165[4] | 792 |
| კონსტიტუცია | — | — | — | — | — | — | — | 33 | — | — | — | 33 |
| არითმეტიკა | 231 | 198 | 198 | 198 | 198 | 66 | — | — | — | — | — | 1089 |
| ალგებრა-გეომეტრია-ტრიგონომეტრია | — | — | — | — | — | 99 | 198 | 132 | 198 | 165 | 165 | 957 |
| ფიზიკა | — | — | — | — | — | — | 66 | 99 | 99 | 99 | 99 | 462 |
| ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 |
| ბუნებისმეტყველება | — | — | — | 66 | 66 | 99 | 66 | 66 | 66 | — | — | 429 |
| ქიმია | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 99 | 99 | 330 |
| გეოგრაფია | — | — | — | 66 | 99 | 99 | 66 | 66 | 66 | 66 | — | 528 |
| ფსიქოლოგია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | — | 33 |
| ლოგიკა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 |
| სამხედრო მომზადება | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 | 99 |
| ფიზიკური მომზადება | 33 | 33 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 33 | 33 | 33 | 561 |
| ხატვა | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | — | — | — | — | — | 198 |
| ხაზვა | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 | 33 | 33 | 165 |
| სიმღერა | 33 | 33 | 33 | 33 | — | — | — | — | — | — | — | 132 |
| სულ | 792 | 792 | 891 | 957 | 1056 | 1056 | 1056 | 1056 | 1122 | 1122 | 1122 | 11022 |

[3] აქედან 2 საათი ეთმობა საქართველოს ისტორიას.
[4] აქედან 66 საათი ეთმობა საქართველოს ისტორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასწავლო გეგმა საქართველოს სსრ აზერბაიჯანული და სომხური დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლებისათვის

| საგნის დასახელება | კვირეული საათების რაოდენობა | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I კლ. | II კლ. | III კლ. | IV კლ. | V კლ. | VI კლ. | VII კლ. | VIII კლ. | IX კლ. | X კლ. | XI კლ. | სულ |
| მშობლიური ენა | 14[1] | 8[1] | 8[1] | 5 | 3 | 3 | 3 | 2 | — | — | — | 46 |
| მშობლიური ლიტერატურა | — | — | — | — | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 3 | 22 |
| ქართული ენა | — | 2 | 3 | 3 | 5 | 5 | 4 | 4 | 2 | 2 | 2 | 32 |
| ქართული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 6 |
| რუსული ენა | — | 6 | 7 | 6 | 7 | 7 | 7 | 6 | 3 | 3 | 3 | 55 |
| რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 | 3 | 9 |
| უცხო ენა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 14 |
| ისტორია | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 19 |
| კონსტიტუცია | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | 1 |
| არითმეტიკა | 7 | 5 | 5 | 5 | 5 | 2 | — | — | — | — | — | 29 |
| ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია | — | — | — | — | — | 3 | 5 | 4 | 5 | 5 | 5 | 27 |
| ფიზიკა | — | — | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 12 |
| ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 |
| ბუნებისმეტყველება | — | — | — | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | — | — | 13 |
| ქიმია | — | — | — | — | — | — | — | 2 | 3 | 2 | 3 | 10 |
| გეოგრაფია | — | — | — | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | — | 15 |
| ფსიქოლოგია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| ლოგიკა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2 |
| სამხედრო მომზადება | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | 3 |
| ფიზიკური მომზადება | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 17 |
| ხატვა | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 4 |
| ხაზვა | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | 3 |
| სიმღერა | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | 4 |
| სულ | 24 | 24 | 27 | 29 | 31 | 34 | 31 | 34 | 35 | 35 | [illegible] | 345 |

[1] სუფთა წერისათვის განკუთვნილი 2 საათის ჩათვლით.



| საგნის დასახელება | წლიური საათების რაოდენობა | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I კლ. | II კლ. | III კლ. | IV კლ. | V კლ. | VI კლ. | VII კლ. | VIII კლ. | IX კლ. | X კლ. | XI კლ. | სულ |
| მშობლიური ენა | 462[1] | 264[1] | 264[1] | 165 | 99 | 99 | 99 | 66[1] | — | — | — | 1518 |
| მშობლიური ლიტერატურა | — | — | — | — | 99 | 99 | 99 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 726 |
| ქართული ენა | — | 66 | 99 | 99 | 165 | 165 | 132 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 1056 |
| ქართული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 198 |
| რუსული ენა | — | 198 | 231 | 198 | 231 | 231 | 231 | 198 | 99 | 99 | 99 | 1815 |
| რუსული ლიტერატურა | — | — | — | — | — | — | — | — | 99 | 99 | 99 | 297 |
| უცხო ენა | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 462 |
| ისტორია | — | — | — | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 99 | 99 | 99 | 627 |
| კონსტიტუცია | — | — | — | — | — | — | — | 33 | — | — | — | 33 |
| არითმეტიკა | 231 | 165 | 165 | 165 | 165 | 66 | — | — | — | — | — | 957 |
| ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია | — | — | — | — | — | 99 | 165 | 132 | 165 | 165 | 165 | 891 |
| ფიზიკა | — | — | — | — | — | — | 66 | 66 | 66 | 99 | 99 | 396 |
| ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 |
| ბუნებისმეტყველება | — | — | — | 66 | 66 | 99 | 66 | 66 | 66 | — | — | 429 |
| ქიმია | — | — | — | — | — | — | — | 66 | 99 | 66 | 99 | 330 |
| გეოგრაფია | — | — | — | 66 | 99 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | — | 495 |
| ფსიქოლოგია | — | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | — | 33 |
| ლოგიკა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 66 | 66 |
| სამხედრო მომზადება | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | [illegible] | 99 |
| ფიზიკური მომზადება | 33 | 33 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 66 | 33 | 33 | 33 | 561 |
| ხატვა | 33 | 33 | 33 | 33 | — | — | — | — | — | — | — | 132 |
| ხაზვა | — | — | — | — | — | — | — | — | 33 | 33 | 33 | 99 |
| სიმღერა | 33 | 33 | 33 | 33 | — | — | — | — | — | — | — | 132 |
| სულ | 792 | 792 | 891 | 957 | 1122 | 1122 | 1122 | 1122 | 1155 | 1155 | 1155 | 11385 |

[1] სუფთა წერისათვის განკუთვნილი 66 საათის ჩათვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

1. 1947-48 სასწავლო წელს საშუალო სკოლების X—XI კლასებში საქართველოს ისტორია არ ისწავლება, რადგან ეს საგანი გასულ სასწავლო წელს IX—X კლასებში ისწავლებოდა და ახალი სასწავლო გეგმით X—XI კლასებში საქართველოს ისტორიისათვის განკუთვნილი ორ-ორი საათიდან ერთი საათი დაემატება საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიას, ერთი კი—მათემატიკას.

1947-48 სასწავლო წელს საქართველოს ისტორიაში სიმწიფის ატესტატზე გამოცდები არ ჩატარდება და ატესტატში ის ნიშანი დაიწერება, რაც მოსწავლემ X-დან XI კლასში გადასაყვან გამოცდებზე მიიღო.

2. სკოლებში, სადაც ფსიქოლოგია და ლოგიკა არ ისწავლება, XI კლასში ლოგიკისათვის განკუთვნილი ორი საათიდან ერთი დაემატება ქართულ ენას (არაქართულ სკოლებში კი—მშობლიურ ენას), ერთი—ფიზიკას, ხოლო X კლასში ფსიქოლოგიისათვის განკუთვნილი ერთი საათი დაემატება ქართულ ლიტერატურას (არაქართულ სკოლებში კი—მშობლიურ ლიტერატურას).

3. ვაჟთა საშუალო სკოლების IX—X—XI კლასებში ისწავლება როგორც ფიზიკური მომზადება, ისე სამხედრო მომზადება. ქალთა საშუალო სკოლებში კი მხოლოდ ფიზიკური მომზადება. ქალთა საშუალო სკოლის IX—X—XI კლასებში კვირეული დატვირთვა 1 საათით ნაკლებია, ვიდრე ვაჟთა სკოლის შესაბამის კლასებში.

იმ საშუალო სკოლების IX—X—XI კლასებში, სადაც ქალვაჟნი ერთად სწავლობენ, ქალები იმეცადინებენ მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაში, ვაჟები კი—როგორც ფიზიკურ, ისე სამხედრო მომზადებაში. ამ სკოლებში ქალები ფიზიკურ მომზადებაში ცალკე უნდა მეცადინეობდნენ.

იმ რვაწლიანი და საშუალო სკოლების V—VI—VII—VIII კლასებში, სადაც ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობენ, ფიზიკურ მომ-

ეროვნული

ზადებაში დასაშვებია ქალთა და ვაჟთა ერთდროულად შეიძლება, მაგრამ ცალ-ცალკე ჯგუფებში.

4. სასწავლო გეგმით, რუსულ ენაში საათები გადიდებულია, უცხო ენაში კი, შემცირებული. ამიტომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების რაოდენობა არ ემთხვევა არსებულ პროგრამებში მოცემულ საათების საორიენტაციო განაწილებას. ამ საგნებში პროგრამული მასალა უნდა დარჩეს უცვლელად და წელს თითოეული თემისათვის მასწავლებელმა დრო უნდა გაანაწილოს ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 2587

## по Министерству просвещения Грузинской ССР

3 сентября 1947 года.

Ознакомившись с материалами о состоянии и работе курсов по изучению русского языка, отмечаю, что в результате осуществления хорошо продуманных подготовительных мероприятий достаточно организованно проведены учет подлежащих вовлечению на курсы слушателей, комплектование групп, обеспечение курсов материальной базой, подбор преподавателей и т. д. За редкими исключениями занятия на курсах начаты в установленное время (1 сентября).

Занятия производятся по утвержденному Министерством просвещения Грузинской ССР единому расписанию и в большинстве случаев протекает в нормальной обстановке.

Вместо установленного контингента в 1500 человек, на курсы вовлечено, за исключением Маяковского и Чхарского районов, 1809 слушателей.

Большинство слушателей курсов составляет районный (городской) партийный и советский актив: ответственные работники местных руководящих органов, заведующие отделами народного образования, директора школ, учителя, руководящие работники различных хозяйственных организаций.

В качестве преподавателей на курсы привлечены квалифицированные и опытные педагоги.

Работа курсов по изучению русского языка хорошо поставлена в Аджарской АССР, в г.г. Кутаиси и Поти, в Гегечкорском, Горийском, Ланчхутском, Ахалцихском, Боржомском, Зугдидском, Махарадзевском, Ткибульском, Цхакаевском, Цулукидзевском, и в целом ряде других районов.

В указанных районах занятия на курсах проводятся регулярно, в установленные дни и часы. Посещаемость слушателями занятий в основном удовлетворительна. Так, например, в день проверки работы курсов в г. Кутаиси не имели места неявки на занятия без уважительных причин. Хорошей посещаемости занятий в значительной степени способствует и то обстоятельство, что в качестве преподавателей курсов работают квалифицированные педагоги. Так, в г. Кутаиси преподавателями на курсах работают Н. Кахиани, с 30 летним стажем педагогической работы, Т. Русадзе, со стажем педагогической работы в 25 лет и др. Указанные

педагоги имеют опыт работы со взрослыми, работают по предварительно составленным планам, особое внимание уделяют упражнениям в разговорной речи, прохождение литературного материала увязывают с упражнениями по граматике, систематически проводят письменную работу (составление плана проработанного произведения, ответы на вопросы, проведение диктантов на основе предворительной подготовки и т. д).

Проводимые таким образом занятия вызывают у слушателей достаточный интерес к учебе и уже в течение незначительного времени заметно продвижение слушателей в отношении усвоения русского языка.

Наряду с этим, необходимо отметить, что отделы народного образования некоторых районов недостаточно серьезно отнеслись к делу организации курсов по изучению русского языка. Например, к концу августа не была закончена подготовительная работа в Кутаисском и Сагареджойском районах, в результате чего занятия в указанных районах начались с опозданием (в Сагареджойском районе—15 сентября, а в Кутаиском—17 сентября).

Значительным недостатком в работе курсов следует считать случаи непосещаемости занятий. Так, например, в Мцкетском районе из 12 слушателей курсов не присутствовало на занятиях: 1 сентября—9 человек, 3 сентября—5, 4 сентября—6, 5 сентября—5, 8 сентября—6, 10 и 11 сентября—6, 12 сентября—9 чел. и т. д.

В Хашурском районе в день проверки из 14 слушателей 1-ой группы отсутствовало 6 чел., из 14 слушателей 2-ой группы—7 чел., из 10 слушателей 4-ой группы—3 чел. Случай непосещения слушателями занятий имеют место также в Телавском, Лагодехском, Карельском районах. Неудовлетворительная посещаемость занятий об'ясняется главным образом частыми командировками слушателей в села района. Отделы народного образования не ставят в соответствующих органах вопроса об устранении недочетов, тормозящих работу курсов по изучению русского языка.

Приказываю:

1. Предложить Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим районными и городскими отделами народного образования:

а) на основе имеющегося опыта работы курсов по изучению русского языка принять необходимые меры к созданию нормальных условий для работы курсов и устранению недочетов, тормо-

зающих дело систематического и высококачественного проведения занятий;

б) в местных руководящих органах поставить вопрос о тех слушателях курсов, которые нерегулярно посещают занятия, не допускать срыва занятий и обеспечить создание слушателям условий для систематического посещения занятий;

в) всемерно усилить оперативное руководство над работой курсов по изучению русского языка и оказывать практическую помощь преподавателям курсов для правильной организации занятий;

г) в местных руководящих органах поставить вопрос о состоянии курсов по изучению русского языка и добиться проведения соответствующих мероприятий для всестороннего улучшения работы курсов.

2. Заведующим Кутаисским, Мцхетским, Хашурским, Карельским и Сагареджойским районными отделами народного образования т. т. Шавгулидзе, Мгалоблишвили, Метревели, Чавчанидзе и Ахвледиани указать на то, что они не обеспечили создание нормальных условий для работы по изучению русского языка и правильной организации занятий на указанных курсах.

Предупредить указанных товарищей, что в случае, если они в кратчайший срок не обеспечат устранения имеющихся в работе курсов недочетов и ликвидацию пропусков занятий, в отношении их будут приняты надлежащие меры.

3. Заведующим отделами народного образования Маяковского и Чхарского районов т. т. Каторейшвили и Сахечидзе указать на то, что, несмотря на неоднократные напоминания, ими до сих пор не представлены именные списки слушателей курсов по изучению русского языка (по требуемой форме).

4. Отделу школ рабочей и сельской молодежи систематически проверять исполнение настоящего приказа и о результатах докладывать мне для обсуждения вопроса на коллегии.

Министр Просвещения Грузинской ССР В. Купрадзе.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი: მ. ბურჭულაძე

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. ფურცელაძის ქ. № 5

უე02241 ტირაჟი—3000 შეკვეთა № 1559